

ლელა ციხელაშვილი

კვლავ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ერთი საკითხის შესახებ: მივსწერ თუ მივწერ, ვჰკითხავ თუ ვკითხავ? (დიაქრონიული ანალიზი)

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა ზმნის ფორმაში III ირიბობიექტურ პირთან ერთად I სუბიექტური პირია წარმოდგენილი, თანაბარუფლებიან პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული: *მივსწერ/მივწერ, შევსჩივლებ/შევჩივლებ, ვჰკითხავ/ვკითხავ, ვჰყავარ/ვყავარ, შევჰკვებებ/ბივარ/შევგებებ/ბივარ* და სხვ. [ნორმები 1970: 201].

როგორც ცნობილია, ქართული ზმნის სტრუქტურაში ყოველ მორფემას თავისი რანგი აქვს, ყოველი კატეგორია მხოლოდ ერთი რანგითაა წარმოდგენილი, რაც გულისხმობს ერთი კატეგორიის ნიშნების შეუთავსებლობას. პირის პრეფიქსული მორფემები თავსდება ზმნისწინის შემდეგ, ქცევისა და გვარის პრეფიქსების წინ. პირის პრეფიქსულ მორფემათათვის რანგის გამოყოფის საკითხი განსხვავებულადაა წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში: თუ პირი ერთი კატეგორიაა, მისი მორფემები ქართული ზმნის სტრუქტურაში მხოლოდ ერთ უჯრედს დაიკავებენ [ონიანი 1978: 157; გამყრელიძე 1979: 44], თუ ხერხდება პირის კატეგორიის დიფერენციაცია და მისი დაყოფა ორ (S და O) ან სამ კატეგორიად (S, O^d, O^{ind}), შესაბამისად, ყოველ მათგანს სტრუქტურაში თავისი რანგი ექნება. მაგ., მ. დამენია პირის პრეფიქსულ მორფემათათვის ორ რანგს გამოყოფს: სუბიექტისას, შემდეგ ობიექტისას [დამენია 1982: 46]. თ. უთურგაიძე გამოყოფს სამ რანგს, ვინაიდან, მისი აზრით, საქმე გვაქვს არა ერთ, ზოგადად, პირის კატეგორიასთან, არამედ სამ კატეგორიასთან (S, O^d, O^{ind}), რანგთა სისტემაში ყოველ მათგანს თავისი ადგილი ექნება. თუ ეს კომბინაციები არ ჩანს ზედაპირულ დონეზე, მორფოფონემატური ცვლილებების შედეგია [უთურგაიძე 2002: 34, 71].

თანამედროვე ქართული ზმნის სტრუქტურაში *შე-ვ-ს-წირე, მო-ვ-ჰ-გვარე* ტიპის ფორმები ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც

ორი პირის პრეფიქსული მორფემა ერთდროულადაა წარმოდგენილი და ამით ირღვევა ქართულისთვის, ზოგადად, დამახასიათებელი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი [გამყრელიძე 1979: 48], რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში, პირის პრეფიქსულ მორფემათა კომბინაციისას, ბოლომდეა გატარებული (*მიწერ* /S₂/ + /O₁^{ind}/ = /O₁/ **მ**- ; *გიწერ* /S₁/ + /O₂^{ind}/ = /O₂/ **გ**-).

ამგვარი ფორმები სათავეს უძველეს ხანმეტ ტექსტებში იღებს, ოღონდ განსხვავებული რანგებით. *შეხატათ* [ბოლნ. წარწ.], *ახმართე* [უკანგ.წარწ.], *ხტარწმუნოთ* [ხანმ. ლექც. 058:4], *ხტყოდე* [ოქსფ. 305:17–18] ტიპის ფორმებში **ხ**- მიცემით ბრუნვაში მდგარი III ობიექტური პირის მორფემადაა მიჩნეული (როგორც ირიბის, ისე პირდაპირის), ხოლო **ჟ**- I სუბიექტური პირის ალომორფად. მაგრამ ამგვარი გააზრება მეორეულია და, თ. გამყრელიძის აზრით, შედეგია I სუბიექტური პირის /***ხჟ**-/ პრეფიქსის რეინტერპრეტაციისა O₃/**ბ**-/ და S₁/**ჟ**-/ პრეფიქსთა კომბინაციად [გამყრელიძე 1979: 49]. ამგვარი გადააზრების მეორეულობა თავისთავად გულისხმობს მწერლობამდელ ქართულში S₁ პირისთვის /***ხჟ**-/ პრეფიქსის არსებობას [იქვე]. ჩვენი აზრით, საერთოქართველურის დონეზე S₁-ის მორფემა უნდა აღდგეს /***ჟ**-/***ჰჟ**-/ არქექტიპის სახით¹, უკანასკნელში ვგულისხმობთ პირის ამ მორფემის ფშვინვიერ შემართვას, ასპირაციას, რომელიც საერთოქართველურისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი [ქდენტი 1965: 112]. მეორეულია /***ჰჟ**-/ > /***ხჟ**-/ პროცესი [ციხელაშვილი 2005: 253–297].

/***ხჟ**-/ პრეფიქსის რეინტერპრეტაციით, მართალია, დაირღვა „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი, რომელიც ყველა დანარჩენ სუბიექტურ-ობიექტურ პირთა კომბინირებისას ბოლომ-

¹ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ამოსავალი სტრუქტურის შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს: ერთის მიხედვით, ამოსავალია /***ჟ**//**ვ**-/ პრეფიქსი [შანიძე 1925: 182; დონდუა 1967: 280; დეეტერსი 1930: 26; თოფურია 1967: 26; ჩიქობავა 1946: 123; სუხიშვილი 1986: 58...]; მეორე თვალსაზრისის მიხედვით, პირველი სუბიექტური პირის მორფემა საერთოქართველურის დონეზე აღდგება /***ხჟ**-/ არქექტიპის სახით [კლიმოვი 1965: 225; ონიანი 1978: 159; გამყრელიძე 1979: 49; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 69].

დეა გატარებული, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ენაში მოქმედებს სისტემის უნიფიცირების, რღვევისა და კვლავ გაწონასწორების პრინციპი, უკვე ხანმეტ ტექსტებშივე შეინიშნება ამგვარი ე. წ. „პრეფიქსული ბიპერსონალიზმის“ დაძლევის ტენდენცია, რაც გამოიხატა */ხჟ-/ > /გ-/* პროცესში (*ხჟარწმუნოთ > ვარწმუნოთ*). თავისთავად, ეს მოვლენა მჭიდრო კავშირშია ხანმეტობის რღვევის პროცესთან.

რა ვითარებაა ამ მხრივ ხანმეტ-ჰაემეტ ძეგლებში? როცა რელატიურ ზმნას პირველ სუბიექტურ პირთან ერთად ეწყობა მიცემითში მდგარი მესამე ობიექტური პირი (როგორც ირიბი, ისე პირდაპირი), ნორმით, მოსალოდნელია *შეხჟწირო* ტიპის ფორმები (შესაბამისად, ჰაემეტში – *შეჰჟწირო*). ხანმეტი ტექსტების უმეტესობაში ამ მხრივ ხანმეტობის ნორმა დაცულია და არ დასტურდება *ხჟ-* კომპლექსის გამარტივების (*ხჟ-* > *გ-*) არცერთი შემთხვევა. ასეთი ვითარებაა: იერემიას წინასწარმეტყველების ნაწყვეტების შემცველ ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ოქსფორდულ და კემბრიჯულ ფრაგმენტებში (VI-VII საუკუნეების მიჯნა); „წმიდა ქრისტინას წამებისა“ და „კვპრიანეს წამების“ ხანმეტ ტექსტებში (რომლებსაც ლ. ქაჯაია V საუკუნის I ნახევრით ათარილებს); ი. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხულ უძველეს ტექსტებში (V-VI სს.); იაკობის პირველსახარების (პროტოევანგელეს) ხანმეტ ნაწყვეტებში (VII ს.), ხანმეტ ლექციონარში (VII ს.). ეს უკანასკნელი იმით იქცევეს ყურადღებას, რომ ჩვენამდე მოღწეულ ხანმეტ-ჰაემეტ ხელნაწერთა შორის ერთადერთია, რომელიც პალიმფსესტს არ წარმოადგენს. ცოცხალ მეტყველებაში ხანმეტობის მოშლის შემდეგ იგი საპალიმფსესტე მასალად არ გაუწირავთ, არ გადაუფხეკიათ, მაგრამ, ალბათ, იმ მიზნით, რომ ლიტურგიკულ პრაქტიკაში კვლავ გამოეყენებინათ, ოდენ „ხედმეტი“ ხანები ამოუფხეკიათ (სრულად ან ნაწილობრივ), მაგრამ უსისტემოდ და ალაგ-ალაგ. მეტწილად *ხ-* ამოფხეკილია ხმოვნების წინა პოზიციაში, თანხმოვნების წინ ერთეული შემთხვევები¹. საინტერე-

¹ */ო/* ხმოვნის წინა პოზიციაში ამოფხეკილია 15 შემთხვევაში, */ე/*-სა და */უ/*-ს წინა პოზიციაში დაახლოებით 12-12 შემთხვევაა, */ა/*-ს წინ – 4, სონორთაგან */რ/*-ს წინ – 11 შემთხვევა (ყველა მოდის *რქუმა* ზმნაზე, ერთადერთი გამონაკლისია (*ბ)რწმენა* [ხანმ. ლექც. 061:34], უმარცვლო */უ/*-ს წინ – მხოლოდ 1. თანხმოვანთაგან */ხ/*-ს წინ დასტურდება *ხ-* პრეფიქსის

სოა, რომ, თუ ზმნას ეწყობა S₁ და O₃ პირები, **ჟ**-ს წინ **ბ**- ამოფხევილი არაა, გარდა ერთი შემთხვევისა: **(ბ)ჟესავთ** [ხანმ. ლექც. 060:26]. ყველა სხვა შემთხვევაში **ბ**- თავის ადგილზეა: **ბუეხილვო** [ხანმ. ლექც. 062:24], **ბურწმენე** [ხანმ. ლექც. 062:25], **აღბუასრულო** [ხანმ. ლექც. 063:23], **დაბუბეჟდო** [ხანმ. ლექც. 063:23-24] და სხვ.

ხანმეტი ლექციონარის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტის (27 ფურცელი) წინა ერთი ფურცელი, რომელიც აღმოჩნდა პარიზში და ბერნარ უტიემ გამოსცა, ჩვენთვის საინტერესო ფორმებს არ შეიცავს¹. ამ ტიპის ფორმები არ დასტურდება ასევე ჯონ ბერდზოლის მიერ ამოკითხულ და გამოცემულ ხანმეტ ოთხთავსა და ეზრა პირველის ფრაგმენტებში (VII ს.).

ხანმეტ-ჰაემეტ მეგლთაგან გამარტივებული, გ- პრეფიქსიანი შევწირო ტიპის რელატიური ფორმები დასტურდება ხანმეტ ოთხთავში (VII ს.), ხანმეტ მრავალთავსა (VIII საუკუნის I ნახ.) და ჰაემეტ ლექციონარში (VIII ს.).

ხანმეტი ოთხთავის რელატიური ზმნების I სუბიექტურ პირში პარალელური წარმოება გვაქვს: ხანმეტობის ნორმით მოსალოდნელი **განხჟასხაჟ** [ლ. 11:20], **ხჟემ** [მრკ. 11:29] ტიპის ფორმების გვერდით დასტურდება **გ**- პრეფიქსიანი გამარტივებული ფორმებიც: **განვასხემდით** [მ. 7:22], **მოვგუარე** [მ. 17:16]... აღსანიშნავია, რომ რელატიური ზმნების I სუბიექტური პირის ფორმებში მიმდინარე ეს პროცესი იდენტურია აბსოლუტურ ზმნათაგან **ო**- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში³ მიმდინარე ცვლილებებისა (საინტერესოა, რომ

ამოფხევის 3 შემთხვევა, /**დ**/, /**ტ**/ თანხმოვნების წინ – ორ-ორი, ხოლო თითო-თითო – /**ბ**/, /**ც**/, /**შ**/ თანხმოვნების წინ. მაგრამ აღნიშნულ ფონოლოგიურ პოზიციებშიც ეს პროცესი ბოლომდე გატარებული არაა: **ბ**- ხან ამოფხევილია, ხან – არა.

¹ ვგულისხმობთ S₁ + O₃ შემთხვევას. ისე ამ ფურცელზე სულ 5 ხანმეტი ფორმაა.

² გვხვდება **განხვასხაჟ** [მ. 12:28] ფორმაც.

³ ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტებისთვის ნორმას წარმოადგენს **ბ**-//**ჰ**- პრეფიქსის არსებობა **ო**- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე სუბიექტური პირის ფორმაში:

- | | |
|-----------------|----------------|
| 1. ბჟყავ | ჰჟემენ |
| 2. ბიყავ | ჰიემენ |
| 3. ბიყო | ჰიემნა. |

გამარტივებული, ოდენ *ჟ*-პრეფიქსიანი ფორმა (*ბჟყავ >*) *ვიყავ* [ქრისტ. 50:23–24] უკვე V საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ „წმიდა ქრისტიანს წამების“ ხანმეტ ტექსტში დასტურდება, თუმცა იმავე ძეგლის რელატიურ ფორმებში უგამონაკლისოდ *ბჟ*-კომპლექსია წარმოდგენილი: *ბჟეცე* [ქრისტ. 47:24], *ბჟმსახურო* [ქრისტ. 50:13]...). რაც შეეხება ხანმეტი ოთხთავის *ო*-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის I სუბიექტური პირის ფორმებს, აქაც რელატიურ ზმნათა ანალოგიური ვითარებაა: დასტურდება როგორც *მოხველინე* [ლ. 4:43], ისე *ვიყვენით* [მ. 23:30] ტიპის ფორმები. როგორც ჩანს, იმ პერიოდის ცოცხალი მეტყველებისათვის სწორედ ასეთი გამარტივებული, *ჟ*-პრეფიქსიანი ფორმები უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

ხანმეტ მრავალთავში ეს პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის. ა. შანიძის აზრით, ხელნაწერი VIII საუკუნის I ნახევარში უნდა იყოს გადაწერილი, იმ დროს, როცა ცოცხალ მეტყველებაში¹ უკვე ე. წ. სანნარევობაა საგულვეტელი. ამ პერიოდში ხანმეტი ხელნაწერის შექმნა შეიძლება აიხსნას დამკვეთ-მომგებლის ნებით, რომელიც, თავის მხრივ, ლიტერატურული ტრადიციით იქნებოდა შეპირობებული. ამიტომ ძეგლში ხანმეტობა, როგორც გარკვეული ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენა, ამკარად ხელოვნურად, მწიგნობრული გზითაა გატარებული. ხელნაწერის გადამწერი არ არის ოდენ გადამწერი, ის საკმაოდ დაკვირვებული რედაქტორ-გადამწერია, რომელიც ცდილობს გაატაროს ხანმეტობის ძველი ნორმებიც და, იმავედროულად, გაითვალისწინოს ენაში მიმდინარე პროცესებიც. სხვაგვარად, **ქმნის ახალ ნორმას**, რომელიც ეფუძნება ძველისა და ახლის სინთეზს. მაგ., თუ ხელნაწერში II სუბიექტური პირის ფორმები, ხანმეტობის ნორმის საფუძველზე, უგამონაკლისოდ *ბ*-პრეფიქსითაა წარმოდგენილი, I სუბიექტური პირის როგორც რელატიურ, ისე *ო*-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებში გამარტივებული, *ჟ*-პრეფიქსიანი ფორმები უკვე ერთადერთ ორთოგრაფიულ ნორმად ცხადდება. *შეჟწიროთ* [ხანმ. მრავ. 131:18], *ვაჟუენოთ* [ხანმ. მრავ. 128:4–5], *ვევედრებოდით* [ხანმ. მრავ. 125:13], *ვიქეოდი* [ხანმ. მრავ. 6:22], *განვიბანეთ* [ხანმ. მრავ. 8:12] ტიპის ფორმები, ფაქტობრივ, სანნარევობისა და თანამედროვე ქართულის ვითარების ამსახველია. **ამ ნორმით**

¹ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონისთვის მაინც.

აღდგა ქართულისთვის ზუნებრივი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი, რომელიც შემდეგ კვლავ დაირღვა.

ძველში დადასტურებული *შეხუწირვიდეთ* [ხანმ. მრავ. 127:11] ტიპის ხუთიოდე ფორმა საერთო სურათს ვერ ცვლის. ვფიქრობთ, ისინი „გაპარული“ უნდა იყოს ხანმეტი დედნიდან გადაწერისას.

ჰაემეტ ლექციონარს პირველი სუბიექტური პირის ფორმებში **ჰჟ**- კომპლექსი, ფაქტობრივ, აღარ ახასიათებს (*გრტყვ* [ჰაემ. 387:10], *მოვიძვი* [ჰაემ. 385:6], *მოველოდეთ* [ჰაემ. 366:14] და სხვ.). რამდენიმე ძველი ნორმის ამსახველი ფორმა (*მოჰჟეგუარე* [ჰაემ. 370:4], *ჰჟყოფ* [ჰაემ. 388:20]...) უფრო ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ჰაემეტი დედნის არსებობით იხსნება და საერთო ტენდენციას ვერ ცვლის.

ჰაემეტი ლექციონარი იმიტაც იქცევს ყურადღებას, რომ გამოავლენს **ჰ**- და **ჟ**- პრეფიქსების ახლებურ განლაგებასაც: **და-ვ-ჰ-თვის** [ჰაემ. 385:1]¹. **ფრაგმენტში დადასტურებული ეს ერთადერთი ფორმა პირის პრეფიქსულ მორფემათა სწორედ იმგვარ რანგებს ასახავს, რომელიც ტიპურია საშუალო და თანამედროვე ქართულისთვის. ამ ფორმით** (რომელსაც, ცხადია, საფუძველი ცოცხალ მეტყველებაში ექნებოდა) **ენაში ერთხელ უკვე დარღვეული სისტემის უნიფორმაციის პროცესი, აღედგინა მისთვის ზუნებრივი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმი“, კვლავ შეფერხდა.** სამწერლობო ქართულში გავლენილმა *დავჰთვის* ფორმამ სათავე დაუდო *ვჰკითხე* [სინ. მრავ. 66:34//*ვკითხე* [ამირან. 286:26], *შეგსწირვიდეთ* [შატბ. კრებ. 217:9] //*შეგწირე* [სინ. მრავ. 281:1], *გსთხოვე* [ვეფხ. 353:4]//*ვთხოვე* [შაჰნამე, 377:10]²... ტიპის ფორმებს. როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ **ო**- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებმა შეინარჩუნა გამარტივებული, ოდენ **ვ**- პრეფიქსიანი წარმოება (*ვიყავ* [ვისრამ. 193: 23], *ვიმალვი* [შაჰნამე 4821: 3] და სხვ.).

„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება როგორც **ვ-ჰ-//ვ-ს-**, ისე ოდენ **ვ**- პრეფიქსიანი პირველი სუბიექტური პირის რელატიური

¹ ძველი სამწერლობო ქართულის ნორმების თანახმად, სახელობითში მდგარი **ო**^ა არამარკირებულია, მაგრამ ეს ე.წ. „დაჰზად“ ტიპის ზმნაა [შაჰნამე 1981: 172] და ობიექტური პირის ნიშანიც მოსალოდნელია.

² ვისარგებლეთ „ტიტუსის“ ტექსტურ მონაცემთა ელექტრონული ბაზით - <http://titus.uni-frankfurt.de>

ფორმები. თუ ზმნას ეწყობა მესამე ირიზობიექტური პირი, როგორც წესი, პირველი სუბიექტური პირის ნიშანთან ერთად წარმოდგენილია ეს უკანასკნელიც:

*მას, არა ვიცი, **შევჰკადრო** შესხმა ხოტბისა, შე-, რისა* [ვეფხ. 3:3]. **შეგმართო** DIOUFL.

*ძალი მომეც დ შეწევნა შენგნით მაქვს, **მივსცე** გონება* [ვეფხ. 6:2].

*არ მომეშვენეს, **დავჰმორჩილდი**, თაყვანის-მცეს ამირბარად* [ვეფხ. 341(338):4]. **დავმორჩილდი** E.

*მერმე ცნობა მომივიდა, **მივჰხვდი** რასმე მიუმხვდარი* [ვეფხ. 356(353):2].

ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემთხვევაში I სერიის ფორმებთან (როცა O^d მიცემითშია) სიჭრელეა: ობიექტის ნიშანი ხან არის წარმოდგენილი, ხან – არა:

ანუ მოვჰკლავ, ანუ მომკლავს, დაიმაღვოს მეტის-მეტად [ვეფხ. 217(216):4]. **მოვჰკლავ** JT, **მოვჰკლავ** RR¹.

*ვბურთობდი და ვთამაშობდი, ვით კატასა **ვჰხოვდი** ლომსა* [ვეფხ. 330(328):4].

*ვერ **დავბლავ**, უკეთესი რაცა საქმე გამიცდია* [ვეფხ. 277(276):3].

II სერიაში (როცა O^d სახელობითშია), როგორც წესი, ობიექტის ნიშანი ზმნის ფორმაში არაა წარმოდგენილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა:

***დავხოვეთ** მხეცი, მფრინველი, რაცა ზე გარდაგვფრენა* [ვეფხ. 204(203):4].

*მეფე შეჰდა, დაგვეკარგე, კვალი შენი ვერ **მოვკვეთეთ*** [ვეფხ. 290(288):2]. **მოვჰკვეთეთ** FJKOT.

***ვბოვე** და ლექსად **გარდავთქვი**, საქმე **ვემენ** საჭოჭმანები* [ვეფხ. 9:3]. **გარდმოვსთქვი** E, **გამოვთქვი** FJX.

როგორც ვხედავთ, ამ მხრივ „ვეფხის ტყაოსანი“, ძირითადად, მიჰყვება ძველ ქართულს. აბსოლუტური აგებულების ზმნებში **ჰ-//ს-** მოსალოდნელი არაა, იშვიათი გამონაკლისის გარდა:

¹ ცხადია, ხმოვნის წინ **ჰ-** წარმოდგენილი არაა: *ვიქმ* [ვეფხ. 54(53):3]... შდრ. ძვ. ქართ.: *ხჟემ* [მრ. 11:29, 33; ლ. 20:8 X]; *ჰჟემ* [მ. 21:27 C].

დღეს არა, ხვალე მოგვდები, სოფელი ასრე მქმნელია [ვეფხ. 37(36):2].

მე პასუხი ვერა ვუთხარ, ვითა შმაგი შე-ვე-ვერთია [ვეფხ. 353(350):3]. **შევეჭკრთი** CL.

საშუალო ქართულის წერილობითი ძეგლების მიხედვით, I სუბიექტური პირის რელატიურ ფორმებში ამ მხრივ, ზოგადად, სიჭრელეა. **ჭ-//ხ-** პრეფიქსი ზოგჯერ დასტურდება იმ შემთხვევებშიც, რომლებშიც მის გაჩენას არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ მოეპოვება. ამ შემთხვევაში მისი არსებობა უფრო ექსპრესიული ფუნქციით იხსნება და იხმარება კეთილზმავანების პრინციპით (*გა-ვეკვეთო* [შაჰნამე, 624: 1], *ვესტირი* [შაჰნამე, 3180: 3] და სხვ.). ანტონ კათალიკოსმა და მისმა სკოლამ, რომელსაც ახასიათებს **ჭ-** პრეფიქსის ხმარებით მეტისმეტი გატაცება, უპირატესობა *ვეკითხე* ტიპის ფორმებს მიანიჭა¹. I სუბიექტური პირის რელატიურ ფორმებში სიჭრელეა XIX საუკუნის სამწერლობო ქართულშიც. მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში ილიას თაოსნობით დაიწყო ამ „რთული“ პრეფიქსის გამარტივება და უპირატესობა მიენიჭა ოდენ **ვ-** პრეფიქსიან ფორმებს [იმნაიშვილი 1984: 24]. მოგვიანო პერიოდში ამ გამარტივებამ უფრო ინტენსიური სახე მიიღო. დღესდღეობით *ვეკითხე* ტიპის ფორმები აღარც იხმარება.

ეს საჭირობოროტო საკითხი არაერთხელ დასმულა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ა. შანიძე 1950 წელს წარმოდგენილ პროექტში ერთადერთ სწორ ფორმად მიიჩნევდა *ვ-კითხე* ტიპის ფორმებს. 1964 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის“ ვ. თოფურია *ვ-ჭ-კითხავ* ტიპის ფორმების გვერდით თანაბარუფლებიანად მიიჩნევდა *ვ-კითხავ* ტიპის ფორმებსაც [თოფურია 1964: 29], თუმცა ერთი წლის შემდეგ მან უპირატესობა მარტივ, **ვ-** პრეფიქსიან ფორმებს მიანიჭა [თოფურია 1965: 92]. მიუხედავად ამისა, 1970 წელს გამოცემულ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველ კრებულში თანაბარუფლებიან პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული: *შევეჭკებებივარ*

¹ ანტონის გრამატიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება *შევეჭკარ*, *განვეჭბანე*, *ვეკავე* ... ტიპის ფორმები [ანტონი 1885: 47-48 და შემდეგ].

და შევგებებივარ, შევსდავეებივარ და შევდავეებივარ¹... მაგრამ აღნიშნულია, რომ „I სუბიექტური პირის **ვ**- პრეფიქსის მომდევნო პოზიციაში III ობიექტური პირის პრეფიქსები **ჰ**- და **ს**- მაინც და მაინც გაქრობის ტენდენციას იჩენენ“ [ნორმები 1970: 201-202]. იგივე თვალსაზრისია გატარებული ო. გაჩეჩილაძის დამხმარე სახელმძღვანელოში „ქართული ენა“ [გაჩეჩილაძე 1985: 227].

ამ მხრივ ინტერესს იწვევს ი. იმნაიშვილის სტატია „ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები. X. *გჰკითხე* თუ *გკითხე? მივსცემ* თუ *მივცემ?*“, რომელიც 1984 წელს გამოქვეყნდა. აქ უკვე ავტორის პოზიცია ცალსახაა: „I სუბიექტური პირის ნიშნის **ვ**-ს შემდეგ მომყოლი III ირიბობიექტური პირის ნიშნები **ჰ** და **ს**, როგორც დღევანდელ ენაში სრულიად უფუნქციო, უსარგებლო, მეტყველებისა და წერის გამამძნელებელი და დამაბრკოლებელი, ამოღებულ იქნეს ხმარებიდან, მ ო ვ ჰ ბ ა ნ ე, მ ო ვ ჰ გ ვ ა რ ე ... და მსგავსი ფორმები შეცდომად ჩაითვალოს და აიკრძალოს მათი ხმარება. ამათ ნაცვლად ერთადერთ ნორმად იქნეს დაკანონებული მათ გვერდით არსებული და საყოველთაოდ გავრცელებული: მ ო ვ ბ ა ნ ე, მ ო ვ - გ ვ ა რ ე... და ამ ტიპის სხვა მგავსი ფორმები“ [იმნაიშვილი 1984: 38]. ვფიქრობთ, პრობლემა აქ უკვე ცალსახადაა დასმულიც და გადაწყვეტილიც. ამის შემდეგ თითქმის მესამედი საუკუნე გავიდა და *გკითხე* ტიპის გამარტივებულმა ფორმებმა კიდევ უფრო გაიმყარა თავისი უფლებები. ამის ფონზე უკვე ენის განვითარების განვლილი ეტაპის ამსახველად გამოიყურება, სალიტერატურო ენის ნორმების თანახმად, თანაბარუფლებიანად მიჩნეული *გჰკითხავ*, *შევსჩივლებ*, *ვსწერ* ... ტიპის ფორმები, მით უმეტეს, რომ მათი გამარტივების ტენდენცია უკვე გასული საუკუნის შუა წლებისთვის იყო საცნაური. დღესდღეობით სახელმძღვანელოებში, რომლებიც, ზოგადად, ქართული მეტყველების კულტურისა და მართლწერის საკითხებს ეხება, ამოსავლად სალიტერატურო ქართულის დღევანდელი ვითარებაა მიჩნეული და საკითხიც *გკითხე* ტიპის გამარტივებული ფორმების სასარგებლოდაა გადაწყვეტილი. როგორც ა. არაბული აღნიშნავს: „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ირიბი ობიექტის ეს ნიშნები პირველი სუბიექტური პირის ნიშანთან **აღარ გამოიყენება** (ხაზი

¹ ამ მონაკვეთს საფუძვლად დაედო ივ. გიგინეიშვილის მოხსენება [ნორმები 1970: IX].

ჩვენია – ლ. ც.): *შე-ვ-წირავ, მო-ვ-პარავ, მო-ვ-წყვეტ; და-ვ-კარგვი-ვარ...* (და არა: *შე-ვ-ს-წირავ, მო-ვ-ს-წყვიტო...*) [არაბული 2004: 143]. იგივე ტენდენცია ჩანს სხვა ავტორებთანაც. ნიმუშისთვის მოვიყვანთ მხოლოდ ერთს: „თუ ზმნას პირველი სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირი ერთდროულად ეწყობა (*მივსწერე მე მას ის*), ორი პირის ნიშნიდან იწერება მხოლოდ ერთი: **ვ**- სუბიექტური პირის ნიშანი (*მი-ვ-წერე მე მას ის*). **ორივე ნიშნის ერთდროულად დაწერისგან, ჯობია, თავი შევიკავოთ** (ხაზი ჩვენია – ლ. ც.), რადგან დღევანდელი ქართულისთვის ის არქაულად ითვლება“ [ბასილაია 2011: 98].

ვფიქრობთ, როდესაც ენაში მიმდინარე ამ კანონზომიერ პროცესს **ნორმის სახე** მიეცემა¹ და უფრო მყარი, ნორმატიული საფუძველი ექნება *კოთხავ* ტიპის ფორმების არსებობას, შეგვეძლება მკითხველებს არათუ ვურჩიოთ, „თავი შევიკავოთ“ ორი პირის პრეფიქსული მორფემის ხმარებისგან, რადგან ასეთი ფორმები „ღარ გამოიყენება“, არამედ ცალსახად განუშვებოთ, რომ *მივსწერე//მივწერე* ტიპის პარალელურ ფორმათაგან **ერთადერთ სწორ ფორმას წარმოადგენს ვ-პრეფიქსიანი ფორმები**, ხოლო *მივსწერე* ტიპის ფორმები უნდა „ამოღებულ იქნეს ხმარებიდან“.

ლიტერატურა

ანტონი 1885 – ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ,, თბილისი.

არაბული 2004 – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, „უნივერსალი“, თბილისი.

ბასილაია 2011 – ლ. ბასილაია, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების თვითმასწავლებელი, მეორე შევსებული გამოცემა, „მერიდიანი“, თბილისი.

გამყრელიძე 1979 – თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, საენათმეცნიერო კრებული, „მეცნიერება“, თბილისი.

¹ როგორც ეს განახორციელა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ხანმეტი მრავალთავის რედაქტორ-გადამწერმა.

გაჩეჩილაძე 1985 – ო. გაჩეჩილაძე, ქართული ენა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

დამენია 1982 – მ. დამენია, ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, „მეცნიერება“, თბილისი.

თოფურია 1964 – ვ. თოფურია, ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, „ცოდნა“, თბილისი.

თოფურია 1965 – ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, „ნაკადული“, თბილისი.

თოფურია 1967 – ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა, ზმნა, „მეცნიერება“, თბილისი.

იმნაიშვილი 1984 – ი. იმნაიშვილი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები, X. ვკითხე თუ ვკითხე? მივსცემ თუ მივცემ? თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 25.

ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, „მეცნიერება“, თბილისი.

ონიანი 1978 – ალ. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, „განათლება“, თბილისი.

ჟღენტი 1965 – ს. ჟღენტი, ქართული ლიტერატურული წარმოქმნის ძირითადი თავისებურებანი, რჩეული შრომები, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, „განათლება“, თბილისი.

სუხიშვილი 1986 – მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXV, თბილისი.

უთურგაძე 2002 – თ. უთურგაძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთიმართებისათვის ქართულ ზმნაში, „ქართული ენა“, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე 1925 – ა. შანიძე, უძლავუტი სვანურში, არილი, თბილისი.

შანიძე 1981 – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი.

ჩიქობავა 1946 – არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი.

ციხელაშვილი 2005 – ლ. ციხელაშვილი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, თბილისი.

დეეტერსი 1930 – Deeters G., Das Khartwelische Verbum, Leipzig.

დონდუა 1967 – Дондуа К., Категория инклюзива в сванском и её следы в древне-грузинском, რჩეული შრომები, I, თბილისი.

კლიმოვი 1965 – Климов Г. В., Этимологический словарь картвельских языков, Москва.

წყაროები

ამირან. – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბილისი, 1967.

ვეფხ. – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, „მეცნიერება“, თბილისი, 1966.

ვისრამ. – ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბილისი, 1962.

იაკ. – ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XX, თბილისი, 1977.

კემბ. – ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ენიმკის მოამბე, II (1), თბილისი, 1937.

ოქსფ. – ოქსფორდის პალიმფსესტი, ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, IX, „მეცნიერება“, თბილისი, 1996.

პარ. – ბ. უტიე, ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბილისი, 1973.

სინ. მრავ. – სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 5, თბილისი, 1959.

უძგ. – ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თხზულებანი თორმეტ ტომად, IX, „მეცნიერება“, თბილისი, 1996.

შატბ. კრებ. – შატბერდის კრებული X საუკუნისა, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, I, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი, 1979.

შაჰნამე – შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტიანე აბულაძემ, ძველი ქართული მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1916.

ხანმ. ლექც. – ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, ძველი ქართული ენის ძეგლები, I, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1944.

ხანმ. მრავ. – ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, თბილისი, 1927.

ხანმ. ოთხთ. – ლ. ქაჯაია, ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ, „მეცნიერება“, თბილისი, 1984.

ჰაემ. – ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფილისი, 1923.

ბერ. – ჯ. ბერდზოლი, Birdsall J., Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2., Oriens Christianus, 55, 1971.

ეზ. – ეზრა I, Birdsall J., Palimpsest Fragments of a Khanmeti Georgian Version of I Esdras, Le Museon, LXXXV, 1-2, Louvain, 1972.

კვპრ. – „კვპრინანეს წამება“, Monumenta Paleographica Medii Aevi, Series Ibero-caucasia, The Old Georgian Palimpsest, Codex Vindobenensis 2, Volume 1, Fdited by Jost Gippert, in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia, Brepols, 2007.

ქრისტ. – „წმიდა ქრისტინას წამება“, Monumenta Paleographica Medii Aevi, Series Ibero-caucasia, The Old Georgian Palimpsest, Codex Vindobenensis 2, Volume 1, Fdited by Jost Gippert, in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia, Brepols, 2007.

Lela Tsikhelashvili

Again on One Issue of the Modern Georgian Literary Language Norming: *mivšcer* or *mivčer*, *vhk̄itxav* or *v̄k̄itxav*? (diachronic analysis)

S u m m a r y

According to the laws and regulations of the modern Georgian literary language, when in a verb along with III person indirect object there occurs I person subject, the followings are considered to be equal parallel forms: **mivšcer/mivčer**, **ševsčivleb/ševčivleb**, **vhk̄itxav/v̄k̄itxav**, **vhq**, **avar/vq**, **avar**, **ševhgebebiavar/ševgebebiavar** and others.

In the Georgian verb structure, this is the only case when prefix-morphemes of two persons are represented simultaneously, by what the „prefix mono-personalism“ principal characteristic of Georgian, in general, is violated (*T. Gamqrelidze*). Such forms are sourced from the old *khanmet'i* (the use of superfluous kh) texts in different ranking. In the forms of **šex̄ūabt** [Bolnis. inscr)], **x̄ūarčmunot** [Khan. Lects.] type, the reinterpretation of a prefix S₁/*x̄ū-/ into combination of prefixes O₃/x̄-/ and S₁/ū-/ is secondary (*T. Gamqrelidze*). According to the law of inclination to uni-formation of a system acting in a language, even in *khanmeti* texts the trend of overcoming such „prefix bi-personalism“ is observable that was reflected in /x̄ū-/>/v̄-/ (**x̄ūarčmunot** > **varčmunot**) process, but *khanmeti* character norm is still preserved in most part of ancient texts.

The process ongoing in I person subject forms of relative verbs is identical to the changes ongoing in Passive Voice forms with **i-** prefix among absolute verbs (simplified form with **v-** prefix **viqav** [Christ., 50: 23-24] occurs still in the *khanmeti* text of „Martyr of St. Christina“ (5th c.). Relative forms with **v-** prefix of this type are attested in *khanmeti* Four Gospels (7th c.), *khanmeti* Miscellany (I half of the 8th c.) and *haemeti* lectionary (8th c.). If *Khanmeti* Four Gospels there occurs parallel formation (**ganx̄ūasxam** [Luk. 11:20] // **ganvasxemit** [Math. 7:22]), in *khanmeti* Miscellany and *haemeti* lectionary the forms with **v-**prefix gains

a norm form (**ševçiroṭ** [khanm. Misc., 131:18], **ganvibavet** [khanm. Misc., 8:12], **movimḳi** [haem. 385:6] and others.).

An uni-formation process acting in a language is still hindered by a *davhtesi* [haem. 385:1] form revealed in *haemeti* lectionary which manifests both personal prefixes having a new ranking. It is the only form confirmed in *haemeti* fragment and that first one with different ranks of personal markers revealed during the existence of the Georgian literary language and which sourced parallel formation of **vhḳitxe** // **vḳitxe**, **vstxove** // **vtxove** type.

In the relative forms of I pers. subject of the written sources of the Middle Georgian is diverse. A prefix **h-** // **s-** is sometimes evidenced in those cases in which there is no morphological grounds for its occurring (**gardamovstḳvi** [„The knight in the panther’s skin“, 9: 3 E], **gavhḳveto** [„Shahname“, 624: 1], etc.). In this regard diversity is observable in the literary Georgian of the 19th century as well. Only in the 1860-ies, at Ilia’s initiative the simplification of this „complex“ prefix began and to the forms with **v-** prefix was given priority.

In fact, in the Modern Georgian literature the markers of O₃^{ind} person at S₁ personal marker are no longer used. This urgent issue has been and was raised in the linguistic literature (V. Topuria, I. Imnaishvili...) many times and a long time ago, as well (I just tried to discuss the issue from the diachronic standpoint). Since **ševsçire** type forms are the passed step for modern literary Georgian, it is preferably, this natural process ongoing in the language **should become norm** (as it was carried out in the 8th century by an editor-copyist of *Khanmeti Miscellany*) and the forms with **v-** prefix should be rightly considered simplified, and the forms of *mivšçer* type should be rejected.